მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხის ზრდა ადგილობრივ თვითმმართველობაში

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების დოკუმენტი

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო ***(LDA Georgia)***

2021 წელი

კვლევის განხორციელება შესაძლებელი გახდა ა(ა)იპ ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს გრანტის „მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხის ზრდა ადგილობრივ თვითმმართველობაში“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ,,გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს მთავრობის'' მხარდაჭერით

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო მადლობას უხდის კვლევაში მონაწილეებს - ადგილობრივი მუნიციპალიტეტის, საკრებულოს, თემის წარმომადგენლებსა და მომსახურების მიმღებ პირებს, ანალიზისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოგროვების პროცესში გაწეული დახმარებისა და კვლევაში ჩართულობისათვის.

მკვლევარი: ნანა გოგოხია, იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაციის ,,თანხმობა'' იურისტი (IDP Women Association ''Consent'').

წარმოდგენილი კვლევა შექმნილია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით. მის შინაარსში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს ზემოთ ჩამოთვლილი საერთაშორისო ორგანიზაციების მოსაზრებებს.

სარჩევი

1. კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია....4

1.1 კვლევის საფუძველი 4

1.2. კვლევის მეთოდი და მონაწილეთა შერჩევა 4-5

1.3. ჯგუფური დისკუსიები და მონაცემების შეგროვება 5

2. შესავალი 6-7

3. განხილული საკითხები და გამოვლენილი საჭიროებები....8

3.1. ეკონომიკური განვითარება....8-10

3.2. სოციალურ-ეკონომიკური პროფილი....10-12

3.3. ინფრასტრუქტურა და კეთილდღეობა....12-14

3.4. განათლება, კულტურა და სამოქალაქო ჩართულობა 14-16

3.5 ძირითადი სერვისები და პროგრამები....16-18

4. რეკომენდაციები....19-20

5. საბიუჯეტო პროგრამა....21-22

6. დანართი....23

სადისკუსიო გეგმა/გზამკვლევი....23-24

1.კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია

1.1 კვლევის საფუძველი

ა(ა)იპ ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს პროექტის „მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხის ზრდა ადგილობრივ თვითმმართველობაში“ ფარგლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტში , 2021 წლის აპრილის თვეში ჩატარდა საჭიროებების კვლევა, რომლის საფუძველზეც შეიქმნა წარმოდგენილი საჭიროებების დოკუმენტი, სადაც ერთის მხრივ საუბარია მოსახლეობის საჭიროებებზე და მეორეს მხრივ COVID 19-ის შემდგომ გამოწვევებზე.

კვლევა უზრუნველყოფს, მოსახლეობის თვალით დანახული ადგილობრივი პრობლემების გამოვლენა-შესწავლას. მათ მიერ ადგილობრივი საჭიროებების ხედვას, მათ პრიორიტეტებსა და მოლოდინებს ადგილობრივ განვითარებასთან დაკავშირებით.

კვლევის შედეგები ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებას ადგილობრივ დონეზე სტრატეგიული/პრიორიტეტული მიმართულების დაგეგმვისა და ღონისძიებების განხორციელების პროცესში.

კვლევის შინაარსი შეიძლება სრულად არ მოიცავდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საჭიროებებს და არ ასახავდეს სრულ სურათს.

ასევე წარმოდგენილი რეკომენდაციები არ შეიძლება აღქმულ იქნას, როგორც დონორის აზრი და ის გამომდინარეობს მხოლოდ ფოკუს ჯგუფებზე მიღებული ინფორმაციიდან.

1.2 კვლევის მეთოდი და მონაწილეების შერჩევა

კვლევის კონცეფცია, სადისკუსიო თემები და კითხვები შემუშავდება იმერეთის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის თემატური ჩარჩოს საფუძველზე.

საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე ჩატარდა თვისებრივი კვლევა, ფოკუს ჯგუფის მეთოდის გამოყენებით. ასევე შესწავლილ იქნა მუნიციპალიტეტის 2021 წ საბიუჯეტო პროგრამები, მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების სამოქმედო გეგმა და 2021-2024 წწ. პრიორიტეტების დოკუმენტი.

ფოკუს ჯგუფებისთვის მონაწილეები შეირჩნენ მიზნობრივად, წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით.

შესწავლის მიზნებისთვის რელევანტურ და საინტერესო ჯგუფებად გამოიყო შემდეგი: ადგილობრივი მუნიციპალიტეტის თანამშრომლები; თემის ფორმალური და არაფორმალური ლიდერები; მოწყვლადი სოციალური ჯგუფების წარმომადგენლები.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სულ ჩატარდა: 2 (ორი) ფოკუს ჯგუფის შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ:

- **ადგილობრივი თვითმმართველობიდან** : მერიის სოციალური სამსახურის, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალური კომისიის წარმომადგენლები, ასევე მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში;
- ხარაგაულის მუნიციპალიტეტის რესურსცენტრის წარმომადგენელი;
- ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების წარმომადგენელი;

- ადგილობრივი მაცხოვრებლები სხვადასხვა მოწყვლადობის გათვალისწინებით (მრავალშვილიანი, სოციალურად დაუცველი, შშმ ბავშვის მშობლები, დევნილი).
- ადგილობრივი არასამთავრობოს წარმომადგენლები.

ფოკუს ჯგუფებში სულ მონაწილეობა მიიღო თექვსმეტმა (16) რესპოდენტმა, რომელთა შორის ათი (10) მდედრობითი სქესის წარმომადგენელი იყო. მონაწილეთა საშუალო ასაკი 30 წლიდან 70 წლამდე მერყეობდა.
ფოკუს ჯგუფების მონაწილეობა ითვალისწინებდა ახალგაზრდების ჩართულობას და განსხვავებული სქესის მონაწილეობას.

1.3 ჯგუფური დიკუსია და ინფორმაციის დამუშავება

ჯგუფური დისკუსია ჩატარდა წინასწარ შემუშავებული კითხვარის მიხედვით, რომელიც შედგებოდა ღია კითხვებისგან. იგი შედგებოდა ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის ფარგლებში ჩამოყალიბებული თემებისა და ქვეპუნქტებისგან და მოიცავდა შემდეგ თემებს:

- სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობა;
- ეკონომიკური განვითარება;
- ინფრასტრუქტურა და კეთილდღეობა;
- ძირითადი სერვისები და პროგრამები ხარაგაულის მუნიციპალიტეტში;
- Covid -19 ით გამოწვეული ახალი საჭიროებები.

ფოკუს ჯგუფებს ჰქონდათ სრული თავისუფლება, შეერჩიათ სადისკუსიო თემები, რომლებიც, მათი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ადგილობრივი საზოგადოებისთვის, განხილული პრიორიტეტებისა და გადაუდებელი აუცილებლობის თვალსაზრისით.

ინტერვიუს დასაწყისში თითოეულ რესპოდენტს ეთხოვა თავის წარდგენა და მათი კომპეტენციისა და საქმიანობის შესაბამისად, საკუთარი შეხედულებების გაცნობა თემისა და ზოგადად, მუნიციპალიტეტის პრობლემებსა და საჭიროებებზე. შესავალი პროცესის დასრულების შემდეგ, ინტერვიუერმა ხელი შეუწყო ჯგუფში დისკუსიის დაწყებას თემების, ადგილობრივი ცხოვრების შესახებ.

ინტერვიუერის მიერ ფოკუს ჯგუფის დისკუსიები ჩაიწერა ხმის ჩამწერზე, ხოლო თვალსაჩინოებისთვის ძირითადი საკითხების აღსანიშნავად გამოიყენებოდა საწერი დაფა. ინტერვიუს მონაწილეთა დასწრება დაფიქსირდა დამსწრეთა სიაში, რომელშიც აღინიშნა დამსწრეთა სრული სახელი, მისამართი, დეტალური საკონტაქტო ინფორმაცია და ხელმოწერა. მიღებული ინფორმაცია დამუშავდა კანონით გათვალისწინებული წესების დაცვით და ინახება ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს (LDA Georgia) ოფისში.

2.შესავალი(ზოგადი მიმოხილვა)

ფოკუს ჯგუფების დისკუსიები მიზნად ისახავდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საზოგადოების საჭიროებებისა და პრობლემების გარკვევას/ დადგენას. დისკუსიების მსვლელობისას , მონაწილეებისათვის შეთავაზებული სადისკუსიო სფეროების ფარგლებში ყველაზე მეტად განხილულ იქნა ისეთი სკითხები, როგორიცაა : სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, ეკონომიკური განვითარების პროგრამები, ადგილობრივი ბიზნესი, წარმოება და პროდუქციის რეალიზაცია, მიგრაცია და დასაქმება, ინფრასტრუქტურული საკითხები , განათლების ხელმისაწვდომობა, სპორტულ/კულტურული აქტივობები ,სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმები, ჯანდაცვის პროგრამები და სოციალური სერვისები, მოქალაქეთა ინფორმირებულობა, Covid -19 -გან გამოწვეული ახალი საჭიროებები.

დისკუსიებმა ანახა, რომ მიუხედავად მუნიციპალიტეტის მიერ ბოლო წლებში განხორციელებული არაერთი წინგადადგმული ნაბიჯისა, ჯერ კვლავ რჩება სხვადასხვა მიმართულებით გამოწვევები, რომელთა გადაჭრამაც უნდა უზრუნველყოს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ- ეკონომიკური განვითარება და კეთილსაიმედო გარემოს შექმნა. მრავალფეროვანი გახადოს მუნიციპალური პროგრამები, ხელი შეუწყოს განვითარებაზე ორიენტირებული, გრძელვადიანი და მდგრადი სოციალური სერვისების შექმნას, რომელიც მოწყვლად ადამიანებს გააძლიერებს და თვითკმარს გახდის.

მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში შეიქმნას ერთობლივი საკომუნიკაციო პლატფორმა, სადაც მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, ბიზნეს სექტორი, თუ სხვა დაინტერესებული სუბიექტები შეძლებენ ერთმანეთთან კომუნიკაციას ადგილობრივი მნიშვნელობის სოციალურ- ეკონომიკური განვითარების საკითხებზე, შეიმუშაონ და წარადგინონ რეკომენდაციები იმ ეკონომიკური განვითარების პროგრამების დასახვეწად, რომელიც სახელმწიფოს მიერ ხორციელდება, რაც აღნიშნულ პროგრამებს კონკრეტულ რეგიონზე , მუნიციპალიტეტზე მორგებულს გახდის.

მნიშვნელოვანია მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა საერთაშორისო (დონორ) ორგანიზაციებთან, მუნიციპალიტეტში დამატებითი პროექტების განსახორციელებლად, რაც ასევე გააუმჯობესებს ადგილზე მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობას, მუნიციპალიტეტს მისცემს შესაძლებლობას განავითაროს საკუთარი ადამიანური რესურსი და ხელი შეუწყოს ახალი სერვისებისა და პროგრამების დანერგვას.

ცალკე საკითხად გამოიკვეთა მუნიციპალიტეტში არსებული პროგრამებისა და სერვისების გაუმჯობესების საკითხი. დღეისათვის არსებული პროგრამები ძირითადად ფულად გასაცემელს მოიცავს, რომელთა ნაწილი ერთჯერადი ხასიათისაა, ნაწილის ოდენობა კი მიუხედავად არა ერთჯერადობისა საკმაოდ მცირეა (30-200 ლარი) რაც ვერ უზრუნველყოფს მოწყვლადი ოჯახების სოციალური პრობლემების ძირეულ გადაჭრას. მნიშვნელოვანია ერთის მხრივ ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გადაიხედოს და დაიხვეწოს ოჯახების სოციალური შეფასების სისტემა და გახდეს ის ორიენტირებული მოწყვლადი მოქალაქეების გაძლიერებაზე, მეორეს მხრივ კი მუნიციპალიტეტებმა უნდა შეძლონ სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების გადახედვა, გაუმჯობესება და გახადონ ისინი ოჯახების გრძელვადიან , მდგრად განვითარება/გაძლიერებაზე ორიენტირებული.

ახალი კორონა ვირუსის გავრცელებამ, ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, მსგავსად სხვა მუნიციპალიტეტებისა ახალი, გაუთვალისწინებელი გამოწვევების წინაშე დააყენა. შეფერხდა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება, მცირედით დროში გადაიწია ინფრასტრუქტურული

პროექტების განხორციელებამ, გაიზარდა უმუშევრობა და მოწყვლადი ოჯახები უფრო მეტი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ.

პანდემიის პერიოდში მუნიციპალიტეტი თავისი კომპეტენციისა და შესაძლებლობის ფარგლებში დახმარებას უწევდა ადგილობრივ მოსახლეობას. აწვდიდა სასურსათო კალათებს, შეზღუდვების პერიოდში ეხმარებოდა გადაადგილებაში. მუნიციპალიტეტი ადგილობრივი ადამიანური რესურსებით ახერხებდა პანდემიის პერიოდში მოსახლეობისთვის ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების შეუფერხებლად მიწოდებას. უზრუნველყოფდა მოქალაქეების ინფორმირებულობას როგორც კოვიდ-19-გან დაცვის მექანიზმების, ასევე დაწესებული შეზღუდვებისა და რეგულაციების შესახებ, თუმცა მნიშვნელოვანია რომ სამომავლოდ მეტად შეუწყოს ხელი ელექტრონული, დისტანციური სერვისების დანერგვას, რომ მოქალაქეებისთვის გადაადგილების შეზღუდვებისა და დისტანციის აუცილებლობის პირობებში შეუფერხებლად და მარტივად ხდებოდეს ყველა აუცილებელი სერვისის მიწოდება და დროული ინფორმირება.

პანდემიამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახადა მოწყვლადი კატეგორიის მოქალაქეებზე ზრუნვის აუცილებლობა. დაწესებულმა შეზღუდვებმა, გაზრდილმა ფასებმა, შემოსავლის წყაროს დაკარგვამ მოწყვლადი მოსახლეობა კიდევ უფრო მეტად გახადა დამოკიდებული სახელწმიფო დახმარებებზე. დამძიმებულმა სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ კი გაზარდა სოციალურად დაუცველი ოჯახების რაოდენობა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტმა შეძლოს და მოახდინოს სერვისების ახალ საჭიროებებზე მორგება, ასევე სერვისებს მიღმა დარჩენილი მოქალაქეების იდენტიფიცირება და მათ საჭიროებებზე რეაგირება.

მომდევნო თავებში დეტალურად იქნება გადმოცემული ის მოსაზრებები, რომელიც ფოკუს ჯგუფების დისკუსიებისას გამოიკვეთა როგორც გამოწვევები, და ასევე რაც მუნიციპალიტეტის დოკუმენტების შესწავლის შედეგად იქნა გამოვლენილი. დანართის სახით წარმოდგენილია ფოკუს ჯგუფების განხორციელების ინსტრუმენტები.

ანგარიშში მოცემული გამოწვევები არ წარმოადგენს მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციისთვის განკუთვნილ საკითხებს, და მათი გადაჭრა/ მოგვარება შესაძლოა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებისა თუ საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით იყოს შესაძლებელი.

3.განხილული საკითხები და გამოვლენილი საჭიროებები

3.1 ეკონომიკური განვითარება:

ხარაგაულის მუნიციპალიტეტს შემუშავებული აქვს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტულია ეკონომიკური განვითარება. განსაკუთრებით კი ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის მიმართულებით გააქტიურება.

სოფლის მეურნეობა : სოფლის მეურნეობაზე საუბრისას უნდა აღინიშნოს, რომ ხარაგაულში, მოსახლეობა ძირითადად მისდევს მევენახეობა/მეღვინეობას, მეცხოველეობას.

მეღვინეობა, ხარაგაულისთვის დამახასიათებელი ტრადიციული და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია. ადგილზე არსებობს საოჯახო ღვინის მარნები, რომლებიც ტურისტებში დიდი პოპულარობით სარგებლობს.

მოსახლეობის ნაწილი დაკავებულია მეფუტკრეობით. ამ მიმართულებით შექმნილია კოოპერატივიც. *„მეფუტკრეობა მომგებიანი და ხარაგაულისათვის დამახასიათებელი დარგია, თუმცა ბოლო წლებში გაჩენილი სხვადასხვა დაავადებების შედეგად ფუტკრის რაოდენობა შემცირდა”,* აღნიშნა ერთერთმა მონაწილემ. მეფუტკრეებს აქვთ წარმოებული თაფლის დიდი რაოდენობა, თუმცა უჭირთ მისი რეალიზაცია ბითუმად. რთულია იმ სტანდარტების დაცვა რაც თაფლის ექსპორტზე გასატანადაა საჭირო, ხშირად მეფუტკრეებს არ აქვთ ინფორმაცია როგორ უნდა უზრუნველყონ ეკოლოგიურად სუფთა თაფლის წარმოება. ძვირი ჯდება სერთიფიცირების პროცედურების გავლა. დღეისათვის მოსახლეობა მხოლოდ თაფლის წარმოებითაა დაკავებული, თუმცა სათანადო სწავლების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება სხვა ისეთი პროდუქტების აქტიურად წარმოება, როგორიცაა დინდგელი, ფუტკრის შხამი, ფუტკრის რძე, რომლებზეც ბაზარზე საკმაოდ დიდი მოთხოვნაა მიუხედავად მაღალი ფასისა. მნიშვნელოვანია ადგილზე მეფუტკრეთა კოოპერატივებისა და გადამამუშავებელი საწარმოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა. ასევე , როგორც რესპოდენტებმა აღნიშნეს მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით კვალიფიციური ვეტერინარის კადრის ადგილზე არსებობა, რომელიც დღეს ხარაგაულში არ არის , რის გამოც ფუტკრის დაავადებებთან ბრძოლა ეფექტურად და დროულად ვერ ხორციელდება.

ხარაგაული ხილის უხვი მოსავლით გამოირჩევა (ვაშლი, ტყემალი და სხვა), თუმცა ადგილზე არ არის მათი გადამამუშავებელი საწარმო, რის გამოც როგორც რესპოდენტებმა აღნიშნეს ხილის დიდი ნაწილი ფუჭდება და გამოუსადეგარი ხდება. არ არის ხილის ჩამბარებელი პუნქტები.

ბოლო წლებში დაიწყო ისეთი კულტურების გაშენება , როგორიცაა ჟოლო და მოცვი, თუმცა მოსახლეობა ჯერჯერობით თავს იკავებს ამ სფეროში აქტიურად დასაქმებით, რადგან არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია და სათანადო ცოდნა ახალი კულტურების მოვლა/მოყვანასთან დაკავშირებით, არ ფლობენ იმ უნარებს რაც თანამედროვე ციფრულ ტექნოლოგიას უკავშირდება (ვერ ავსებენ ელექტრონულად განაცხადებს, არ აქვთ ელ. ფოსტით სარგებლობის გამოცდილება და სხვა). გარდა ამისა საკმარისად არ არის წარმოდგენილი სასაწყობე-სამაცივრე მეურნეობები, რომელთა არსებობაც მსგავსი კენკროვანი კულტურების მოყვანისას აუცილებელია.

ხარაგაულში, მთაგორიანობისა და მცირემიწიანობის გამო ადგილობრივებს მარცვლეული კულტურები მხოლოდ პირადი მოხმარების მიზნით მოჰყავთ.

„1500კვ/მ ნაკლები მიწის ფართობის მქონე მცირე ფერმერები ვერ სარგებლობენ საწვავის დახმარების პროგრამით , არადა ხარაგაულში დიდი ფართობის მიწები მოსახლეობას თითქმის არ აქვს", აღნიშნა ფოკუს ჯგუფის მონაწილემ. მიწის დამუშავებას პატარა ზომის საოჯახო ტრაქტორებით ახერხებენ, ასევე არის სოფლები სადაც მიწის დამუშავება ტრადიციული მეთოდით(ხარი და გუთანი) ხდება, ვინაიდან ე.წ მექანიზაციის ცენტრები ხარაგაულში არ არსებობს.

ვინც მეცხოველეობას მისდევს, ძირითადად რძის პროდუქტების წარმოება-რეალიზაციითაა დაკავებული. გამოიკვეთა ადგილზე კვალიფიციური ვეტერინარების არსებობის აუცილებლობა, რათა მოსახლეობას გაეწიოს მესაქონლეობის კუთხით სათანადო დახმარება და გასცენ რეკომენდაციები. მეცხოველეობის საკითხზე მსჯელობისას აღინიშნა, რომ მოსახლეობას ჰყავს ადგილობრივი დაბალ პროდუქტიული საქონელი, და მათ ჩანაცვლებას ახალი ჯიშებით ვერ ახერხებენ მაღალი ფასის გამო.

სოფლის მეურნეობისა თუ ზოგადად ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისთვის , როგორც მონაწილეებმა აღნიშნეს, მნიშვნელოვანია მრავალფეროვანი ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობი პროგრამების განხორციელება.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მოსახლეობას შეუძლია ისარგებლოს ეკონომიკური განვითარების ისეთი სახელმწიფო პროგრამებით, როგორიცაა ,,დანერგე მომავალი'', ,,აწარმოე საქართველოში''. მოსახლეობის ნაწილს მიაჩნია, რომ პროგრამები ნაკლებადაა ადგილობრივ საჭიროებებს მორგებული და რომ ისინი ნაკლებად უწყობს ხელს „სტარტაპების" განვითარებას. ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა ახსენეს ფერმერ ქალთა ასოციაციის ეკონომიკური განვითარების პროგრამები, თუმცა გამოწვევად დაასახელეს არსებული პროგრამების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა სოფლად მცხოვრებ ქალებში, რომელთაც ხშირად სოციალურ ქსელებთან ხელი არ მიუწვდებათ. გამოწვევაა ასევე შესაბამისი ბიზნეს უნარების ნაკლები ქონა მოსახლეობაში. ყურადღება გამახვილდა ფერმერების კომპიუტერული უნარების გაძლიერებაზე , მათ კონსულტირებაზე ახალი, ხარაგაულისათვის არატრადიციული კულტურების განაშენიანების საკითხებზე.

ადგილობრივი ბიზნესი, წარმოება და გადამუშავება, ბაზარზე წვდომა: ამ ეტაპზე ხარაგაულში დიდი მაშტაბის საწარმოები არ არსებობს, რომლებიც შეძლებდნენ საკუთარი წვლილის შეტანას მოსახლეობის დასაქმებაში და ასევე ადგილობრივ განვითარებაში. ბაზარზე ძირითადად მიკრო და მცირე მეწარმეები არიან წარმოდგენილი, რომელნიც დაბა ხარაგაულში ფუნქციონირებენ. სოფელ გედსამანიაში გაშენებულია ჟოლოს და მოცვის პლანტაციები.

როგორც მონაწილეებმა აღნიშნეს, ადრე განვითარებული იყო ხე-ტყის დამუშავება, თუმცა გამკაცრებული რეგულაციების შემდეგ მოსახლეობას ხის დამუშავებასთან ხელი არ მიუწვდება. *"ტყიდან ხის გამოტანა გასათბობადაც ვერ ხერხდება. ნებადართული ოდენობა არ არის საკმარისი. შეიძლება ითქვას, რომ ხე-ტყეზე ხელმისაწვდომობა არის ნულის ტოლი",* აღნიშნა ერთერთმა მონაწილემ.

ადგილზე წარმოებული თაფლის და რძის პროდუქტების, ღვინის რეალიზაცია ძირითადად ზესტაფონში ხდება.

როგორც რესპოდენტებმა აღნიშნეს, ადგილზე ბიზნეს კომპანიებს არ აქვთ ერთმანეთთან მჭიდრო თანამშრომლობა რაც ხელს შეუწყობდა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების გამოკვეთას, ჯერჯერობით ვერც მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს ბიზნეს სუბიექტებთან ხარაგაულის ეკონომიკური განვითარების საკითხზე უწყვეტი დიალოგის წარმართვას. ადგილზე არ არის მსგავსი შეკრებებისთვის სივრცე, სადაც ადგილობრივი ბიზნეს სუბიექტები რეგულარულ კომუნიკაციას და ურთიერთთანამშრომლობის გზების დასახვას შეძლებდნენ.

ტურიზმი და რეკრეაცია: ხარაგაულს გააჩნია ტურიზმის განვითარების დიდი პოტენციალი, რის შესაძლებლობასაც კურორტი ნუნისი და ბორჯომ ხარაგაულის ეროვნული ტყე-პარკი იძლევა. შესაძლებელია ტურიზმის სხვადასხვა მიმართულებების განვითარება(აგრო ტურიზმი, ეკოტურიზმი, ექსტრემალური ტურიზმი და სხვა). თუმცა, დღეისათვის მუნიციპალიტეტში ამ მიმართულებით არაერთი გამოწვევა არსებობს. მაგ. არ არის დასრულებული გზების მოწესრიგება, აუცილებელია ტურისტული ინფრასტრუქტურის გამართული მუშაობა. მართალია აშენდა რამდენიმე კოტეჯი, გაიხსნა პატარა საოჯახო სასტუმროები, თუმცა აუცილებელია სერვისის გაუმჯობესება, შესაბამისი სტრატეგიის შემუშავება და საინფორმაციო კამპანიის წარმოება ტურისტების მოსაზიდად.

როგორც ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა აღნიშნეს, ნაკლებადაა წარმოდგენილი ტურისტებისთვის მიმზიდველი რეკრეაციული და მოსასვენებელი, გასართობ გამაჯანსაღებელი ადგილები, არსებულიც საჭიროებს კეთილმოწყობას. არ არის საზოგადოებრივი საპირფარეშოები (სველი წერტილები), მანიშნებლები ტურისტულ მარშუტებზე, მოსაწესრიგებელია გარკვეულ მიმართულებებზე ბილიკები.

3.2 სოციალურ-ეკონომიკური პროფილი: ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა შეფასებით ხარაგაულში სოციალურ- ეკონომიკური მდგომარეობა მძიმეა. მოსახლეობის დიდი ნაწილი საჭიროებს დახმარებას სხვადასხვა მიმართულებით. მათივე თქმით პანდემიის შედეგად გაიზარდა სოციალურად დაუცველი ოჯახების რაოდენობა. გარდა ამისა, პანდემიამ გამოკვეთა ისეთი ოჯახები, რომლებიც სოციალურად დაუცველთა ბაზაში ვერ ხვდებიან, (კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებენ, რის გამოც მაღალი ქულები აქვთ) თუმცა პანდემიის შედეგად დარჩნენ საარსებო წყაროს გარეშე და მათთვის დახმარების გაწევა უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ არ მოხდეს ოჯახის გაღარიბება.

მოსახლეობის მოწყვლად ნაწილს საკვებ პროდუქტებთან ნაკლები ხელმისაწვდომობა აქვს. ისინი ძირითადად სახელმწიფოს დახმარებაზე არიან დამოკიდებული, სურსათზე გაზრდილი ფასების ფონზე კი მიღებული ფულადი დახმარება არ არის საკმარისი ორგანიზმის ჯანმრთელობისთვის აუცილებელი პროდუქტების შესაძენად. როგორც რამდენიმე რესპოდენტმა აღნიშნა, *„არიან ოჯახები სადაც ბავშვებისთვის მშობლები ვერ ყიდულობენ ტკბილეულს, ხორცს“*, რაც თავისთავად ხელს უშლის მოზარდების ნორმალურ განვითარებას. Covid 19-ის დროს მუნიციპალიტეტი სასურსათო კალათებს აწვდიდა ყველაზე მოწყვლად მოსახლეობას, განსაკუთრებით მრავალშვილიან ოჯახებს და მარტოხელა ხანდაზმულებს.

ფოკუს ჯგუფების მონაწილეების თქმით, მოსახლეობის უმეტესობა სოფლად მაცხოვრებელია. სოფლად მცხოვრები მოსახლეობის არც თუ ისე მცირე ნაწილი კი ხანდაზმული და საპენსიო ასაკს მიღწეულია.

მუნიციპალიტეტს აქვს ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით შობადობის წამახალისებელი პროგრამა, თუმცა რამდენად უწყობს აღნიშნული დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებას ხარაგაულში უცნობია.

მონაწილეების მხრიდან გამოწვევად დასახელდა სოციალურად დაუცველ , სახელმწიფო დახმარებაზე მყოფ ოჯახებში მშობლობისა და ბიუჯეტის მართვის უნარების არ ქონა. *„ ხშირად არის შემთხვევები, როცა მშობლებმა არ იციან როგორ უნდა გაანაწილონ ის თანხა რასაც დახმარების სახით ღებულობენ. ზოგჯერ შვილებსაც მხოლოდ იმიტომ არჩენენ, რომ დამატებითი შემოსავალი ჰქონდეთ, ამ დროს კი საკუთარი მშობლის მოვალეობები ავიწყდებათ",* აღნიშნა არაერთმა მონაწილემ.

გამოიკვეთა ოჯახში ძალადობის პრევენციის საჭიროება. *„არ გვეგონა რომ ხარაგაულში ოჯახში ძალადობას ექნებოდა ადგილი, მაგრამ პანდემიის დროს ცნობილი გახდა მსგავსი შემთხვევების შესახებ*", აღინიშნა ფოკუს ჯგუფის მსვლელობისას. დისკუსიებისას ასევე მონაწილეების მხრიდან გამოითქვა აზრი, რომ ოჯახში ძალადობაზე საუბრისას მოქალაქეები უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ ფიზიკურ ძალადობას, მაგრამ ძალადობის სხვა ფორმების შესახებ ნაკლებად ფლობენ ინფორმაციას და ამიტომ საზოგადოების მხრიდან ეკონომიკურ, ფსიქოლოგიურ ძალადობაზე რეაგირებაც ნაკლებია.

შრომის ბაზარი , უმუშევრობა და მიგრაცია: როგორც ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა აღნიშნეს, მუნიციპალიტეტისთვის გამოწვევაა სამუშაო ადგილების ნაკლებობა. ადგილზე დასაქმების და განვითარებისა ნაკლები შესაძლებლობები კი ხელს უწყობს მიგრაციას. ახალგაზრდები ძირითადად დიდ ქალაქებში ან საზღვარგარეთ მიემგზავრებიან. რესპოდენტების თქმით, შესამჩნევია დაცლილი სოფლები და მიტოვებული სახლები.

ადგილზე სამუშაო ადგილები თითქმის არ იქმნება, რაც მუნიციპალიტეტისთვის დიდი გამოწვევაა. მოსახლეობის ნაწილი დასაქმებულია გზების მშენებლობაზე. დასაქმების შესაძლებლობა ძირითადად საბიუჯეტო დაწესებულებებშია (სკოლები, მერია). მეორეს მხრივ, შესამჩნევია კვალიფიციური პროფესიული კადრების სიმცირე. *„რომ გინდოდეს მანქანის შემკეთებელს ვერ იშოვი ხარაგაულში და აუცილებლად ზესტაფონში უნდა წავიდეთ სერვისის მისაღებად",* განაცხადა ფოკუს ჯგუფის მონაწილემ.

დისკუსიების შედეგად გამოიკვეთა, რომ ერთმანეთს არ ემთხვევა დასაქმების ბაზარზე მუშა ხელის მიწოდება-მოთხოვნა. მიუხედავად იმისა, რომ არის პოტენციური შესაძლებლობა გარკვეული პროფესიული მიმართულებებით დასაქმების (ელექტროშემდუღებლები, ბუღალტრები, სანტექნიკოსი, აგრონომი, ვეტერინარი), სამწუხაროდ არ არის ხელმისაწვდომი აღნიშნული პროფესიის მქონე კვალიფიციური მუშახელი.

3.3 ინფრასტრუქტურა და კეთილდღეობა: ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და უსაფრთხო გარემოს შექმნა მუნიციპალიტეტისთვის ერთ- ერთი პრიორიტეტული საკითხია და ეტაპობრივად ხორციელდება ადგილობრივ ბიუჯეტთან ერთად სახელმწიფო და საერთაშორისო ფონდებიდან მიღებული დაფინანსებით , თუმცა ჯერ კიდევ ბევრი გამოწვევა არსებობს. მთავარი ინფრასტრუქტურული პროექტი რიკოთის ახალი მაგისტრალის სამშენებლო სამუშაოებია, რომელმაც დადებითი ზეგავლენა უნდა მოახდინოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მომავალ განვითარებაზეც.

დღეისათვის არსებული ინფრასტრუქტურა არ არის ადაპტირებული შშმ პირებისთვის, ძირითადად სკოლები, საბავშვო ბაღები იქნა ამ კუთხით რეაბილიტირებული. ბანკებს, აფთიაქებს პანდუსები გააჩნიათ, მაგრამ ხშირად ის ვერ აკმაყოფილებს სტანდარტებს. არ არის ადაპტირებული თავად მუნიციპალიტეტის შენობაც. ადგილზე ბევრი მოძველებული და ამორტიზირებული შენობაა, რომელიც მოწესრიგებას საჭიროებას.

ხარაგაულში წყალი გრაფიკითაა. რესპოდენტებმა აღნიშნეს, რომ წყლის მიწოდება ხარვეზით ხდება, რის გამოც მოსახლეობაში ხშირად ზიანდება წყლის გაყვანილობა. ასევე წუხილი გამოითქვა წყლის ხარისხთან დაკავშირებით, მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ არ იციან რამდენად სასმელად ვარგისია ხარაგაულში წყალი. სოფლებში მოსახლეობა სასმელად ჭის ან წყაროს წყალს იყენებს. სოფლებში გზების რეაბილიტაცია სისტემატიურად მიმდინარეობს, თუმცა მეწყრული პროცესების გამო ისინი ხშირად ზიანდება. გზის მოწესრიგება არ არის დასრულებული ყველა სოფელში, ისევე როგორც არ არის დასრულებული გაზიფიცირება. *„გაზიფიცირების შემაფერხებელი ძირითადი ფაქტორია ის, რომ , სოფლები არის გაბნეული, მაცხოვრებელი ცოტა, გაზიფიცირების პროგრამა კი ძვირადღირებულია",* აღნიშნა ერთერთმა მონაწილემ. იმ ადგილებში სადაც გაზი არ არის მუნიციპალიტეტი ცდილობს მოსახლეობის შეშით დახმარებას (2-2 კუბი მოცულობის შეშით), მაგრამ ეს არასაკმარისია. შეშით გათბობა უწევთ სკოლებსაც. არ არის დასრულებული სოფლების გარეგანათება, თუმცა მოსახლეობას შეუფერხებლად მიეწოდება ელექტროენერგია. პრობლემას წარმოადგენს კანალიზაციის სისტემის მოუწესრიგებლობა. მხოლოდ დაბა ხარაგაულში კანალიზაციის სისტემის განახლების პროექტი დაწყებულია.

ნაგვის ურნები როგორც დაბაში ასევე სოფლებში განთავსებულია, თუმცა შორი-შორს დგას ,რის გამოც თვლიან რომ საჭიროა ახალი ურნების დამატება. რეგულარულად ხდება ნარჩენების გატანა. დასუფთავების მოსაკრებელი სოფლის მოსახლეობისთვის ჯერ არ არის შემოღებული. მნიშვნელოვანია მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება ეკოლოგიურ საკითხებზე, რადგან სოფლებში ხშირად ხდება ხევების დაბინძურება , პოლიეთილენის პარკებისა და ბოთლების გადაყრა ან დაწვა . დაბა ხარაგაულში მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომია პოლიეთილენის მოსათავსებელი ცალკე ურნები.

ყველა სოფელში (განსაკუთრებით დაბიდან მოშორებულ მაღალმთიან სოფლებში) არ არის აფთიაქი, სასურსათო მაღაზიები, რომელთა ადგილზე აუცილებლობაც პანდემიის დროს განსაკუთრებით გამოიკვეთა, რადგან შეზღუდული გადაადგილების პირობებში მოსახლეობა საჭირო წამლების, ჰიგიენური საშუალებების , სურსათის შემენას თავად ვერ ახერხებდა. სოფლებში საბანკო მომსახურეობა ხორციელდება ლიბერთი ბანკის მიკროავტობუსით, წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით.

ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მწვავედ დგას მიუსაფარი ძაღლების საკითხი, რომლებიც მოსახლეობისთვის დამატებითი საფრთხის შემცველია. დღითიდღე იზრდება მიუსაფარი ცხოველების რაოდენობა, მათთვის მუნიციპალური თავშესაფარი არ არსებობს.

მუნიციპალიტეტში წესრიგდება სკოლებისა და ბაღების ინფრასტრუქტურა. ხდება ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა, თუმცა მნიშვნელოვანია მეტი ყურადღება დაეთმოს გარეთა სივრცეების მოწესრიგებას ძველი ბაღებისა და სკოლების შემთხვევაში. არის ბაღები და სკოლები, რომლებიც რეაბილიტაციას, განახლებას საჭიროებენ.

სოფლებში მოსახლეობისთვის აუცილებლობას წარმოადგენს წისქვილზე ხელმისაწვდომობა, მაგრამ დღეისათვის სოფლებში ნაკლებია ფუნქციონირებადი წისქვილი.

საზოგადოებრივი ტრანსპორტი: ფოკუს ჯგუფების მიმდინარე პერიოდისთვის ხარაგაულში არ არსებობდა მუნიციპალური ტრანსპორტი. მოსახლეობა სარგებლობდა კერძო მიკროავტობუსებით, რომლებიც არ იყო ყველა სოფლისთვის თანაბრად ხელმისაწვდომი. ზოგადად ტრანსპორტი არ არის მორგებული შშმ პირებისთვის, რის გამოც ოჯახის წევრებს მათი გადაადგილება კერძო ტაქსებით უწევთ ,რაც მოუხერხებელი და ძვირია. როგორც რესპოდენტებმა დისკუსიისას აღნიშნეს, რთულია შიდა სასოფლო გადაადგილება. ხარაგაულში მოსახლეობის გადაადგილების ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი ტრანსპორტი იყო ე.წ „მასტერაო“, რომელმაც შეზღუდვების დროს შეწყვიტა მიმოსვლა. ფოკუს ჯგუფების ჩატარების დროისთვის „ მასტერაო“-ს მოძრაობა აღდგენილი არ იყო. *„მატარებლის მიმოსვლის აღდგენა ეხლა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგან მისი დახმარებით შორეული სოფლებიდან შეეძლოთ მაცხოვრებლებს დაბაში ჩამოსვლა. ასევე ის ყველაზე იაფი ტრანსპორტია“* აღნიშნეს ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა. აღნიშნული მატარებლით გადაადგილება ხელს შეუწყობს მასწავლებლების მიერ შეუფერხებლად კოვიდზე ტესტირებასაც. ამ ეტაპზე პედაგოგებისთვისაც გადაადგილების ძირითადი შესაძლებლობა ტაქსია, რომელიც ძალიან ძვირი ჯდება. როგორც ფოკუს ჯგუფის დისკუსიისას გაირკვა ხარაგაულიდან თბილისამდე მგზავრობაზე არ არის დადგენილი განსხვავებული ტარიფი (მანძილიდან გამომდინარე შემცირებული).

შენიშვნა: 2021 წლის მარტის ბოლოს ხარაგაულში დაინიშნა მუნიციპალური ტრანსპორტი, რომელიც კვირაში ორჯერ შესაძლებლობას მისცემს სხვადასხვა სოფლების მოსახლეობას უფრო მარტივად გადაადგილდნენ, თუმცა აღნიშნული ვერ აგვარებს სრულყოფილად ტრანსპორტირების საკითხებს.

კომუნიკაციებზე ხელმისაწვდომობა: კომუნიკაციებზე ხელმისაწვდომობის საკითხზე მსჯელობისას გაირკვა, რომ ინტერნეტი ყველა სოფელში არ არის ხელმისაწვდომი. არ ხდება ხარისხიანი დაფარვა თავად დაბა ხარაგაულშიც, რაც ონლაინ სწავლების და მუშაობის უზრუნველსაყოფად დამატებითი ხელშემშლელი ფაქტორია. ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა არ გააჩნიათ სოფლის ამბულატორიებს, რის გამოც ვერ ხერხდება საჭირო დოკუმენტაციის ელექტრონული წესით წარმოება.

მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომია ტელევიზია. არსებობს ადგილობრივი გაზეთი. მერიის სიახლეების შესახებ ინფორმაცია გაზეთით, მერიის ვებ გვერდითა და სოციალური ქსელის დახმარებით ვრცელდება.

3.4 განათლება და სამოქალაქო ჩართულობა: სკოლამდელი და სასკოლო განათლება ხელმისაწვდომია ბავშვებისთვის. უზრუნველყოფილია ასევე შშმ ბავშვთა განათლების ხელმისაწვდომობა როგორც ბაღებში, ასევე სკოლებში.

პანდემიის შედეგად გამოიკვეთა მოსწავლეთა ნაკლები ხელმისაწვდომობა ინტერნეტთან. სკოლის მასწავლებლები მოსწავლეებთან დაკავშირებას და სასწავლო პროცესში ჩართვას სატელეფონო ზარის გამოყენებით ცდილობდნენ. განათლების ხელმისაწვდომობის საკითხის განხილვისას, მონაწილეების მხრიდან აღინიშნა, რომ ბავშვებს და ზოგჯერ პედაგოგებსაც არ ჰქონდათ შესაბამისი ტექნიკა, რომელიც ონლაინ სასწავლო პროცესში ჩართვას ხელს შეუწყობდა.

მართალია ხარაგაულში არ არის პროფესიული სასწავლებელი, თუმცა ადგილზე არსებობს ზრდასრულთა განათლების ცენტრი, სადაც მსურველებს შეუძლიათ გაიარონ მოკლევადიანი

პროფესიული გადამზადების კურსები. თუმცა როგორც რესპოდენტებმა აღნიშნეს, სწავლის შემდგომ აუცილებელია მათი წახალისება ეკონომიკური განვითარების მცირე გრანტებით, რათა გაუჩნდეთ შემოსავლის წყარო.
ადგილზე არის ინოვაციების ცენტრი, რომელიც ღიაა ყველა მსურველისთვის, მაგრამ ცენტრის მომსახურეობით სარგებლობენ უფრო დაბა ხარაგაულში მცხოვრები მოზარდები .
ფუნქციონირებს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი და მუსიკალური სკოლა სადაც ძირითადად დაბა ხარაგაულში ან ახლო სოფლებში მცხოვრები მოზარდები დადიან. დაბიდან შორს მდებარე სოფლის მოზარდებისთვის კი დამატებითი კულტურულ, საგანმანათლებლო და სპორტულ წრეებში მონაწილეობა ნაკლებად ხელმისაწვდომია, რადგან ადგილზე სათანადო ინფრასტრუქტურა და საჭირო მატერიალურ ტექნიკური ბაზა არ არის, დაბამდე ჩამოსვლა კი კვირაში რამდენიმეჯერ რთული და ძვირია.

ხარაგაულში არსებობს 25 ბიბლიოთეკა, მაგრამ ისინი საჭიროებენ რეაბილიტაციას და განახლებას.

რეკრეაციული ზონები ნაკლებადაა ხელმისაწვდომი. სოფლებში სპორტული მოედნები საჭიროებს განახლებას/რეაბილიტაციას. გარდა დაბა ხარაგაულისა და რამდენიმე სოფლისა არ არის კეთილმოწყობილი საბავშვო მოედნები.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები ხარაგაულში მრავლადაა, თუმცა თითოეული მათგანის სათანადოდ მოვლა პატრონობა და მათ გარშემო მოწესრიგებული ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა სრულად ვერ ხერხდება. არის მუზეუმი და თეატრი, რომლებიც პანდემიამდე ხშირად მასპინძლობდა კულტურულ შემოქმედებით ღონისძიებებს. კულტურული ღონისძიებების თანადაფინანსება შესაძლებელია მუნიციპალიტეტიდან.

სპორტული აქტივობები ფინანსდება მერიის ბიუჯეტიდან, თუმცა ნაკლებადაა შესაბამისი ინფრასტრუქტურა განვითარებული. დაბა ხარაგაულში არსებობს სპორტული კომპლექსი, სადაც ძირითადი სპორტული აქტივობები, შეჯიბრებები ტარდება. როგორც ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა აღნიშნეს, სპორტულ და კულტურულ აქტივობებში მონაწილეობაზე ხელი არ მიუწვდებათ შშმ ბავშვებს, ხანდაზმულ ადამიანებს, ასევე ნაკლებად არიან ჩართული მსგავს ღონისძიებებში სოფლებში მცხოვრები მოზარდები. მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მნიშვნელოვანია მოსახლეობაში მეტად იყოს წახალისებული ცხოვრების ჯანსაღი წესი. *„კარგი იქნება თუ დაბაშიც და სოფლის ცენტრებშიც მოეწყობა ტრენაჟორები და სავარჯიშო ინფრასტრუქტურა. მათი არსებობა ძალიან მნიშვნელოვანია თითოეული მაცხოვრებლისთვის, რადგან ჩვენთან არ არის ცხოვრების ჯანსაღი წესის უზრუნველყოფის სხვა ალტერნატიული შესაძლებლობები. აღნიშნულის საჭიროებას კი პანდემიის შედეგად უფრო ვხედავთ, რადგან არააქტიურმა ცხოვრების წესმა მოზარდებში უკვე შესამჩნევი გახადა სიმსუქნისკენ მიდრეკილება“* აღინიშნა ფოკუს ჯგუფების მიმდინარეობისას.

მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმები : მოქალაქეები ყველაზე აქტიურად სოფლის განვითარების პროგრამაში მონაწილეობენ. სხვა დროს ნაკლები აქტიურობით გამოირჩევიან. *„ თავად ეზარებათ მოსვლა, ყველაფერი უნდათ გაკეთდეს სხვისი ხელით, მოქალაქეები აუცილებლად საჭიროებენ გააქტიურებას“* აღინიშნა ფოკუს ჯგუფების მსვლელობისას. არსებობს მრჩეველთა საბჭო, თუმცა გამოიკვეთა ერთის მხრივ საბჭოს წევრების გაძლიერების , ხოლო მეორეს მხრივ მოქალაქეების

ცნობიერების ამაღლების საჭიროება საბჭოს კომპეტენციებთან დაკავშირებით. ნაკლებია მოქალაქეთა ცნობიერება პეტიციების მექანიზმის შესახებ, ჯერჯერობით არ არის დანერგილი ელექტრონული პეტიციების შესაძლებლობაც, რომლის განვითარებაც პანდემიიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია, როგორც დისტანციური ჩართულობის მექანიზმის.

დისკუსიების შედეგად გამოიკვეთა, რომ მოქალაქეები დაგეგმვის პროცესში ნაკლებად არიან ჩართული, იშვიათად მონაწილეობენ საკრებულოს სხდომებში. პანდემიის შედეგად გამოიკვეთა რომ მნიშვნელოვანია მოქალაქეებს დისტანციური სერვისებით სარგებლობის შესაძლებლობა ჰქონდეთ.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში არ არის განვითარებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ინსტიტუტი, როგორც მოქალაქეთა მონაწილეობის ერთ-ერთი აქტიური შესაძლებლობა.

ფოკუს ჯგუფის მონაწილეებისგან გამოწვევად დასახელდა საჭირო ინფორმაციაზე ნაკლები ხელმისაწვდომობა. *„ არ ხდება ეფექტურად მოსახლეობის ინფორმირებულობა მუნიციპალურ პროგრამებზე“* აღნიშნეს ფოკუს ჯგუფის მსვლელობისას. არც ერთი საინფორმაციო მექანიზმი არ არის ადაპტირებული სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანებისთვის, რის გამოც მათი ინფორმირებულობა ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებზე, მიმდინარე პროგრამებზე ნაკლებია. ნაკლები ინფორმირებულობა ხელს უშლის შშმ პირების ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესშიც.

ფოკუს ჯგუფების ჩატარების პერიოდისთვის მიმდინარეობდა მუნიციპალიტეტის ვებ გვერდის განახლება, რის გამოც გარკვეული მნიშვნელოვანი საჯარო ინფორმაცია არ იყო ხელმისაწვდომი. სხვადასხვა სახის ინფორმაცია, როგორც მონაწილეებმა აღნიშნეს ასევე გამოკრულია სოფლის წარმომადგენლების სამუშაო ადგილას, თუმცა ეს ადგილები ხშირად მოუწესრიგებელია.

გამოიკვეთა მუნიციპალიტეტის თანამშრომლების გადამზადების საჭიროება. *„აუცილებელია მერიის თანამშრომლების უნარების გაძლიერება მოქალაქეებთან კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით”,* აღინიშნა ფოკუს ჯგუფების მსვლელობისას.

3.5 ძირითადი სერვისები და პროგრამები : ხარაგაულში მოქალაქეებს ხელი მიუწვდებათ, როგორც სოციალური მომსახურეობის სააგენტოს, ასევე მუნიციპალურ სოციალურ პროგრამებზე. მუნიციპალიტეტი სოციალური პროგრამების შემუშავებას შემოსული განცხადებების ანალიზის საფუძველზე ახდენს. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამების ძირითადი ნაწილი ერთჯერად ფულად გასაცემელს მოიცავს, რაც შესაძლებელს ხდის ბენეფიციარს მხოლოდ იმ მომენტისთვის შეუმსუბუქოს მდგომარეობა.

ხარაგაულში არიან ოჯახები, მარტოხელა ქალები, მრავალშვილიანები, სოციალურად დაუცველები რომელთაც მძიმე სოციალურ- ეკონომიკური მდგომარეობა აქვთ. ხშირად მათი საცხოვრებელი პირობები არის მოუწესრიგებელი, საცხოვრებლად უვარგისი და არ აქვთ ელემენტარული ბავშვების განვითარებისთვის საჭირო შესაძლებლობები. მსგავს სიტუაციაში კი მდგომარეობის გაუმჯობესება მიზნობრივად შემუშავებულ და განხორციელებულ მუნიციპალურ პროგრამებზე დიდად არის დამოკიდებული.

ჯანდაცვის პროგრამები და ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა: ხარაგაულის მერიას გააჩნია მედიკამენტების თანადაფინანსებისა და სხვადასხვა სამედიცინო კვლევების, ოპერაციების თანადაფინანსების მექანიზმი, რომლითაც სარგებლობა არა მხოლოდ სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს შეუძლიათ. ფუნქციონირებს საავადმყოფო, სადაც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით სარგებლობა ხელმისაწვდომია. სოფლებში არსებობს ამბულატორიები, თუმცა დგას ექიმების ხელმისაწვდომობის პრობლემა. კერძოდ, როგორც ფოკუს ჯგუფების დისკუსიებისას გაირკვა ამბულატორიებში დასაქმებული არიან არა ადგილობრივი კადრები. მონაწილეების *თქმით „ 20 მდე სოფლის ამბულატორიიდან მხოლოდ 2 ადგილას არის ადგილობრივი კადრი, დანარჩენები სხვა მუნიციპალიტეტებიდან არიან წარმოდგენილი და ისინი ყოველდღიურად არ არიან ხელმისაწვდომი მოქალაქეებისთვის",* რაც მათი აზრით, აფერხებს დროულ სამედიცინო მომსახურეობის მიწოდებას მოსახლეობისთვის. პანდემიის პირობებში კი როცა გაზრდილია ჯანდაცვის სერვისებზე მოთხოვნა, როცა მნიშვნელოვანია სახლში მყოფი კოვიდ ინფიცირებული პაციენტების მეთვალყურეობა, რესპოდენტების აზრით, სასიცოცხლოდ აუცილებელია ამბულატორიებში დასაქმებული იყვნენ ადგილობრივი კადრები, რომლებიც მოსახლეობასთან ურთიერთობას უფრო ხშირად შეძლებდნენ. *„ვფიქრობთ რომ უმჯობესია ადგილზე მუდმივად იყოს ხელმისაწვდომი ექიმი, რათა არ შეფერხდეს სოფლებში პირველადი სამედიცინო სერვისის მიწოდება, განსაკუთრებით კი პანდემიის პირობებში",* აღნიშნა ერთერთმა მონაწილემ. სოფლის ექიმებს არ ემსახურებათ ტრანსპორტი, რის გამოც ექიმების გადაადგილება პრობლემურია. საკუთარი სახსრებით (იმ თანხით რაც აქვთ როგორც სოფლის ექიმებს გამოყოფილი) ექიმები ვერ უზრუნველყოფენ ხშირ გადაადგილებას ამბულატორიებამდე მაღალმთიან სოფლებში, განსაკუთრებით მაშინ, როცა პანდემიიდან გამომდინარე გადაადგილებაზე შეზღუდვები იყო დაწესებული.

პანდემიიდან გამომდინარე გამოიკვეთა ახალი პროგრამის შემუშავების აუცილებლობა, კერძოდ საჭირო გახდა პოსტკოვიდური გართულებების შედეგად მოქალაქეთა ნაწილისთვის დამატებითი ჯანდაცვის სერვისის დანერგვა. ბალნეოლოგიურ კურორტ ნუნისთან მერიის შეთანხმებით შესაძლებელი გახდა კოვიდ გადატანილი სკოლამდელი ბავშვების რეაბილიტაციის უზრუნველყოფის პროგრამის დანერგვა. პოსტკოვიდური გართულებების შედეგად მოქალაქეებს უწევთ დამატებითი მკურნალობის გავლა და სხვადასხვა სახის მედიკამენტების შეძენა, რაც წამლებზე ფასების ზრდის გამო ,როგორც ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა აღნიშნეს, მოსახლეობას უჭირს.

საჭიროებად დასახელდა ადგილზე სრულად აღჭურვილი სტომატოლოგის კაბინეტის არსებობა. არის ერთი სტომატოლოგიური ოთახი, თუმცა ადგილზე ვერ ხერხდება სურათის (რენდგენის) გადაღება, რისთვისაც მოქალაქეებს ზესტაფონში უწევთ წასვლა. ასევე, ხელმიუწვდომელია ნევროლოგი, ბავშვებისთვის ლოგოპედი, ფსიქოლოგი.

სოციალური საკითხები და სერვისები: მერიაში არსებობს შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო, თუმცა უკვე დიდი ხანია აღნიშნული საბჭოს შეხვედრები და მუშაობა არ მიმდინარეობს. საბჭოს არ აქვს შემუშავებული სამოქმედო გეგმა, რაშიც დახმარებას საჭიროებენ. ასევე, გამოიკვეთა შშმ პირთა საჭიროებების შესახებ სიღრმისეული კვლევის ჩატარების აუცილებლობა.

მერიის თანადაფინანსებით შესაძლებელია 15 წლამდე ასაკის შშმ ბავშვების სარეაბილიტაციო სერვისების დაფინანსება, თუმცა აღნიშნული სერვისების მისაღებად მოსახლეობას ძირითადად

ქუთაისში ან ზესტაფონში უწევს წასვლა. 2020 წელს მუნიციპალიტეტის მიერ რეაბილიტირებულ იქნა შენობა, სადაც შშმ ბავშვთა ადრეული განვითარების ცენტრის გახსნა იგეგმება, რომლის ბენეფიციარებიც ხარაგაულში რეგისტრირებული 0 დან 7 წლამდე ასაკის შშმ და განვითარების დარღვევის მქონე ბავშვები იქნებიან, თუმცა რამდენად იქნება შესაძლებელი ბავშვების მშობლებთანაც სათანადო მუშაობა რესპოდენტების თქმით ჯერჯერობით გაურკვეველია. მერიის მხარდაჭერით ხდება მხედველობა შეზღუდული 18 წლის ზემოთ მოქალაქეებისთვის ბრაილის შრიფტის შემსწავლელი პროგრამის განხორციელება. აღნიშნული პირები ასევე კომპიუტერულ უნარ-ჩვევებს ეუფლებიან. სხვა სპეციალური საჭიროების მქონე ან შშმ პირებისთვის დამატებითი სარეაბილიტაციო, საინტეგრაციო სერვისები არ არსებობს. *„კარგი იქნებოდა სოციალური საწარმოს არსებობა, სადაც სხვადასხვა შეზღუდულობისა თუ საჭიროების მქონე ზრდასრულ ადამიანებს ექნებათ შესაძლებლობა ჩართულ იყვნენ აქტივობებში (შრომითი თერაპია და სხვა) რაც მათ რეაბილიტაცია რესოციალიზაციას შეუწყობს ხელს",* აღნიშნა ერთერთმა მონაწილემ. იშვიათად, მაგრამ შესაძლებელი ხდება ეტლებით უზრუნველყოფა შესაბამისი საჭიროების მქონე პირების. მერია 30 ლარს უხდის ყოველთვიურად იმ ე.წ მომვლელებს, რომლებიც შშმ პირებს უვლიან და რომელთაც არ გააჩნიათ სოციალურად დაუცველობის *სტატუსი. „არ ვიცი რამდენად ეფექტიანად უნდა შეფასდეს ეს პროგრამა, მართალია ალბათ სულ არაფერს სჯობია, მაგრამ ვფიქრობ შესაძლებელია მისი დახვეწა და განვითარება ისე, რომ უფრო მეტ ადამიანს მოუტანოს მდგრადი შედეგი",* აღინიშნა ფოკუს ჯგუფის მიმდინარეობისას.

ხარაგაულში არსებობს სათნოების სახლი, რომელიც ახორციელებს დაბაში და ახლო სოფლებში მცხოვრები გარკვეული კატეგორიის პირების ერთჯერადი სადილით უზრუნველყოფას, თუმცა როგორც მონაწილეებმა აღნიშნეს , სათნოების სახლს არ გააჩნია ბენეფიციარების შერჩევის მკაფიო კრიტერიუმები. მსურველი , რომელსაც ესაჭიროება სადილით უზრუნველყოფა უფრო მეტია. სათნოების სახლმა რამდენიმე თვის წინ შეიძინა „სკუტერი", რომლის დახმარებითაც ხდება საკვების სახლში მიტანის სერვისის უზრუნველყოფა. მაღალმთიან სოფლებში მცხოვრები მოწყვლადი მარტოხელა ხანდაზმულებისთვის და სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის, მსგავსი უფასო სადილის სერვისის მიწოდების აუცილებლობაზე მიანიშნეს დისკუსიებისას მონაწილეებმა.

მერიას გააჩნია ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა იმ ოჯახებისთვის, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით უკიდურეს გასაჭირს განიცდიან, თუმცა რამდენად აგვარებს ერთჯერადი 500 ლარამდე ოდენობის თანხა ოჯახის პრობლემას გაურკვეველია. ერთჯერადი ფულადი დახმარებაა გათვალისიწინებული ასევე მარტოხელა მშობლების და მარჩენალდაკარგული ბავშვების დასახმარებლად, რაც გრძელვადიანად აღნიშნული ბენეფიციარების პრობლემებს ვერ ჭრის, რის გამოც მოწყვლად ოჯახებს უჭირთ თავი დააღწიონ სიდუხჭირეს და გაიუმჯობესონ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

შემუშავებულია კრიზისულ სიტუაციებში მყოფი ოჯახების დახმარების პროგრამა, თუმცა არ ხდება აღნიშნული და სხვა პროგრამების ეფექტურობის შეფასება. გამოიკვეთა კრიზისულ სიტუაციაში მყოფი ოჯახების პროგრამის განხორციელებაში მუნიციპალიტეტისთვის დახმარების აუცილებლობა პროგრამის დახვეწისა და დახმარების გაცემის წესის შემუშავებასთან დაკავშირებით.

მუნიციპალიტეტში შემუშავებული აქვთ უსახლკაროთა რეგისტრაციის წესი, ხდება უსახლკარო და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ქირით უზრუნველყოფა.

მერიის აპარატთან შექმნილია ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება, რომელსაც ჯერ არ აქვს დასრულებული ბავშვთა კეთილდღეობის უზრუნველყოფის პროგრამების შემუშავების პროცესი.

ერთ-ერთ მტკივნეულ საკითხად გამოიკვეთა მოქალაქეებისთვის სოციალურად დაუცველობის სტატუსის მინიჭება. რესპოდენტებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ აუცილებლია შეფასების სისტემის დახვეწა და რომ დღეისათვის შეფასების სიტემა ობიექტურად არ ახდენს მოწყვლადი ოჯახების გამოვლენას და მათი საჭიროებების დადგენას.

4.რეკომენდაციები:

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

- სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით მნიშვნელოვანია ადგილობრივ საჭიროებებზე და მოქალაქეთა ინტერესებზე მორგებული პროგრამების შემუშავება და განხორციელება. ასევე არსებული პროგრამების გადახედვა და პირობების გაუმჯობესება;
- მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტთან ერთად შემუშავდეს და დაინერგოს მოქალაქეთა ინფორმირებულობის ახალი ფორმები იმ პროგრამების შესახებ, რომელიც სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით ხორციელდება;
- ადგილზე უზრუნველყოფილ იქნას პროგრამებში ჩართვის მსურველი პირების (ფერმერების) ხშირი კონსულტირება და დახმარება პროგრამაში მონაწილეობის პროცედურებთან და ტექნიკურ დეტალებთან დაკავშირებით

აწარმოე საქართველოს

- მნიშვნელოვანია ,მუნიციპალიტეტებში მოსახლეობასთან კომუნიკაციის შედეგად გადაიხედოს და გაუმჯობესდეს არსებული პროგრამები, რათა გახდეს ისინი მუნიციპალიტეტის (მინიმუმ რეგიონის) საჭიროებებსა და შესაძლებლობებს მორგებული.
- მნიშვნელოვანია ხელი შეეწყოს მოქალაქეთა უნარების გაძლიერებას ისეთ საკითხებში, როგორიცაა ბიზნეს განაცხადის შევსება.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

- დაიწყოს მუშაობა სოციალურად დაუცველთა შეფასების სისტემის განახლებაზე, რათა ეს უკანასკნელი მაქსიმალურად ობიექტურად აფასებდეს მოქალაქის საჭიროებას და ადგენდეს საჭიროებებს;
- შეფასების პროცესის განხორციელებისას გაითვალისწინოს მუნიციპალიტეტის როლი, როგორც იმ სახელმწიფო დაწესებულების, რომელიც ყველაზე ახლოს დგას საკუთარ ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ მოქალაქესთან;
- გადახედოს სოფლის ექიმების (სოფლის ამბულატორიების) დაფინანსების/ფუნქციონირების საკითხს და გახადოს იგი პანდემიიდან გამომდინარე არსებულ საჭიროებებზე მორგებული;
- ხელი შეუწყოს სოფლის ამბულატორიების ინფრასტრუქტურის და მატერიალურ -ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას.

ადგილობრივ მუნიციპალიტეტს

- მნიშვნელოვანია კომუნიკაციის გაზრდა სხვა სახელმწიფო უწყებებთან, რათა დაიხვეწოს სოციალური შეფასების სისტემა;
- მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით მცირე საგრანტო პროგრამების შემუშავება და ახალგაზრდების, ქალების ეკონომიკური წახალისება მიგრაციის შესამცირებლად;

- ხელი შეუწყოს ჩართულობის მექანიზმების შესახებ მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლებას და წახალისებას. სასურველია მუნიციპალიტეტმა დანერგოს ჩართულობის სხვა, ახალი მექანიზმები, რათა ხელი შეუწყოს მოქალაქეთა მეტ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.
- მნიშვნელოვანია მოქალაქეთა ინფორმირებულობის გაუმჯობესების მიზნით დაინერგოს კომუნიკაციის სხვადასხვა მექანიზმები. მოხდეს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა შშმ პირებისთვის;
- მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტმა გადახედოს არსებულ პროგრამებს და გამონახოს გზები ერთჯერადი ფულადი გასაცემლები შეცვალოს მდგრადი სერვისების მიწოდებით. პროგრამები კი გახადოს უფრო მეტად მორგებული მოსახლეობის საჭიროებებს;
- მნიშვნელოვანია მაღალკვალიფიციური სერვისის მიწოდების უზრუნველსაყოფად დაინერგოს „აუთსორსინგის“ (სერვისის შესყიდვის) მექანიზმი მუნიციპალიტეტში;
- აუცილებელია გაგრძელდეს სოფლებში სპორტული ,საბავშვო მოედნების კეთილმოწყობა/რეაბილიტაცია და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია;
- მნიშვნელოვანია გარკვეული პერიოდულობით ხდებოდეს მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა გადამზადება სხვადასხვა მიმართულებით (როგორც პროფესიული ისე სასიცოცხლო უნარების გაძლიერება).

5.საბიუჯეტო პროგრამა ხარაგაულის მუნიციპალიტეტისთვის

პროგრამის დასახელება	კოდი	*კეთილსაიმედო გარემოს შექმნა სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფი ბავშვებისთვის*	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	სხვა რესურსებიდან მიღებული დაფინანსება
			40 000	
პროგრამის განმხორციელებელი უწყება(სამსახური)	**ბავშვთა უფლებების დაცვისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის განყოფილება**			
წინაპირობა	სოციალური მომსახურების სააგენტოს 2021 წლის მარტის მონაცემებით , სოციალური დახმარების მიმღებთა ბაზაში ხარაგაულიდან რეგისტრირებულია 0 დან 6 წლამდე ასაკის 791 ბავშვი და 6 დან 18 წლამდე ასაკის 1872 მოზარდი. მათი ნაწილი მრავალშვილიანი ოჯახებიდანაა, ან უკიდურეს სიღატაკეში იმყოფება, სადაც არ გააჩნიათ ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობები. ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს (LDA Georgia) მიერ ჩატარებული კვლევის ფარგლებში, ფოკუს ჯგუფების მიმდინარეობისას მონაწილეთა მხრიდან ასევე აღინიშნა, რომ ხარაგაულში არაერთი სოციალურად დაუცველი სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები ოჯახია, სადაც მცირეწლოვანი ბავშვები იზრდებიან არადამაკმაყოფილებელ საცხოვრებელ გარემოში. ბავშვებისთვის კეთილსაიმედო გარემოს შექმნა ბავშვთა კოდექსითაა გათვალისიწინებული, და ახლა უკვე თითოეული მუნიციპალიტეტის ზრუნვის საგანიცაა მნიშვნელოვანია სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან ბავშვებს ჰქონდეთ შექმნილი ელემენტარული საყოფაცხოვრებო გარემო, სადაც ისინი მშვიდად განვითარებას შეძლებენ.			
პროგრამის ბენეფიციარები	ხარაგაულში რეგისტრირებული (მუდმივად მცხოვრები) 3 და მეტ შვილიანი , სოციალურად დაუცველი ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000 ლარს , რომელთაც აქვთ მძიმე საყოფაცხოვრებო პირობები. ბავშვები კი არიან 0 დან 15 წლამდე. უპირატესობა მიენიჭება იმ ოჯახებს, სადაც ბავშვებს დამატებითი მოწყვლადობა გააჩნიათ, კერძოდ არიან მარჩენალდაკარგული, ან მარტოხელა მშობელი ზრდის ან მშობელი არის ონკოპაციენტი.			
პროგრამის აღწერა (მიზანი)	პროგრამის მიზანია სამიზნე ბენეფიციარებისთვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით ერთი ოთახის გარემონტება და კეთილმოწყობა შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილებით. პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად ბენეფიციარმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს სოციალურად დაუცველთა ბაზიდან ამონაწერი.			

პროგრამის შედეგი	გაუმჯობესებულია სამიზნე ბენეფიციარების საყოფაცხოვრებო გარემო და შექმნილია მათთვის კეთილსაიმედო გარემო.			
შესრულების ინდიკატორი	საწყისი მაჩვენებელი	2022 წლის მაჩვენებელი	2023 წლის მაჩვენებელი	2023 წლის მაჩვენებელი
	0	4 ოჯახი	6ოჯახი	10 ოჯახი
პროგრამის შესრულების მონიტორინგის განმხორციელებელი	მერიის ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახური/ აუდიტის სამსახური			
რისკები	ვირუსის გავრცელების შედეგად დაწესებული შეზღუდვები			

6. დანართი: სადისკუსიო გეგმა/გზამკვლევი

საკვლევი საკითხი	ძირითადი კითხვები	შენიშვნა/კომენტარი ინტერვიუერისთვის
გაცნობითი/შესავალი ნაწილი	- მისალმება / წარდგენა / მონაწილეთა გაცნობა; - კვლევის მიზნების, ფორმატის და პრინციპების გაცნობა (კონფიდენციალობის კომონენენტი); - აუდიო ჩანაწერის განხორციელებაზე თანხმობის მოპოვება.	ამ ნაწილის მიზანია მონაწილეთა მომზადება და კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა.
ეკონომიკური განვითარება	1. რა გამოწვევებს ხედავთ თქვენს მუნიციპალიტეტში ეკონომიკური განვითარების კუთხით? 2. სოფლის მეურნეობის თქვენთვის სასურველი დარგის განვითარებაში რა ხელშემშლელი გარემოებები არსებობს? 3. გაქვთ თუ არა თქვენს მიერ წარმოებული პროდუქციის ადგილზე რეალიზების შესაძლებლობა? 4. მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა ეკონომიკური განვითარების პროგრამებში? თუ არა რატომ?	თემის ზოგადი მდგომარეობის შეფასება და მწვავე პრობლემების იდენტიფიცირება.
ინფრასტრუქტურა და კეთილდღეობა	5. ინფასტრუქტურის კუთხით რა წარმოადგენს თქვენთვის ყველაზე დიდ გამოწვევას? 6. რამდენად ხელმისაწვდომია საზოგადოებრივი ტრანსპორტი? 7. არის თუ არა უზრუნველყოფილი თქვენს დასახლებებში შესაბამისი საკომუნიკაციო სისტემები?	აქცენტი გაკეთდება მუნიციპალიტეტში არსებულ ინფრასტრუქტურაზე, საზოგადოებრივ ტრანსპორტზე, კომუნიკაციის ხელმისაწვდომობაზე.
სოციალურ-ეკონომიკური პროფილი	8. რამდენად მიგიწვდებათ ხელი პირველად ჯანდაცვასთან? რა პროგრამები ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის კუთხით? თუ არის ხელმისაწვდომი სოფლის ამბულატორია? ექიმის მომსახურეობა? 9. რას დაასახელებდით პირველად გამოწვევად ჯანდაცვის კუთხით თქვენს მუნიციპალიტეტში? 10. ეკოლოგიის კუთხით რა სახის პრობლემებს დაასახელებდით? და როგორია მათი ზეგავლენა გარემოზე? 11. რამდენად შეგიძლიათ დასაქმდეთ თქვენს მუნიციპალიტეტში? თუ არა რა ხელშემშლელ ფაქტორებს დაასახელებდით? 12. გაქვთ თუ არა რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები? რა გამოწვევებს აწყდებით ამ კუთხით?	მნიშვნელოვანია მიღებულ იქნას მაქსიმალურად კონკრეტული და დეტალური ინფორმაცია ამ საკითხებზე.

	13. რა უწყობს ხელს თქვენს მუნიციპალიტეტში მიგრაციას? 14. რა გამოწვევებს ხედავთ დემოგრაფიული ცვლილებების კუთხით? რა სახის პროგრამები უნდა არსებობდეს დემოგრაფიული კეთილდღეობისთვის?	
განათლება, კულტურა და სოციალური ჩართულობა	15. რამდენად არის ხელმისაწვდომი თქვენს მუნიციპალიტეტში სკოლამდელი და სკოლის განათლება? სასკოლო ტრანსპორტი რამდენად არის ხელმისწვდომი? თუ არის საგანამანათლებლო ადწესებულებებში ინფრასტრუქტურა მოწესრიგებული? 116. კულტურული ცხოვრება რამდენად ხელმისაწვომია? 17. თუ იცნობთ მუნიციპალიტეტში სამოქალაქო ჩართულობის რომელიმე მექანიზმს? როგორ ფიქრობთ რა უნდა გაუმჯობესდეს მოქალაქეების ჩართულობის კუთხით ?	განხილული იქნება შემდეგი ქვეთემები:კვალიფიკაცია და უნარ-ჩვევები, კულტურული მემკვიდრეობა და სოციალური/კულტურული გარემო;სპორტული და რეკრეაციული ღონისძიებები; სამოქალაქო ჩართულობა; თანასწორობა.
ძირითადი სერვისები და პროგრამები	18. რომელ სერვისებზე მიგიწვდებათ ხელი? რომელი სერვისების ნაკლებობაა თქვენი აზრით თქვენს მუნიციპალიტეტში? 19. რისი გაუმჯობესებაა საჭირო უკვე არსებული სერვისების უკეთ ფუნქციონირებისათვის?	ყურადღების გამახველება პრგრამების შესახებ არსებულ ინფორმაციასა და კრიტერიუმებზე; ხელმისაწვდომობის დადგენა.
Covid-19-ის შემდგომ წარმოქმნილი გამოწვევები	20. რა არის ის ძირითადი გამოწვევები, რომლის წინაშეც დადექით კოვიდის შედეგად? 21. კოვიდ პანდემიით გამოწვეული სირთულეების დასაძლევად რა პროგრამები და აქტივობები განხორციელდა თქვენს მუნიციპალიტეტში? 22. რა უნდა გაკეთდეს თქვენს მუნიციპალიტეტში კოვიდ პანდემიით გამოწვეული პრობლემების შესამსუბუქებლად?	ყურადღების გამახვილება იმ საკითხებზე და გამოწვევებზე, რაც პანდემიის შემდგომ გამოიკვეთა.
რეკომენდაციები / მოსაზრებები გაუმჯობესებისთვის	23.რა უნდა გაკეთდეს თემში არსებული სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად? 24.რა ტიპის რესურსების მობილიზებაა საჭირო? ვის მიერ?	მნიშვნელოვანია მიღებულ იქნას მაქსიმალურად კონკრეტული და დეტალური ინფორმაცია ამ საკითხებზე.